ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის"

სარევიზიო კომისიის სხდომის

ოქმი

26 მარტი, 2013წელი

ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" სარევიზიო კომისიის სხდომა გაიმართა ქ. თბილისში, ძმ. ზუბალაშვილების 36, ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის " ოფისში. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ არჩეული სარევიზიო კომისიის შემდეგი წევრები:

მარიამ კუბლაშვილი -კომისიის თავმჯდომარე

ანა ხარაიშვილი- წევრი

ლევან ჩხეიძე -წევრი

აკაკი ჩარგეიშვილი - წევრი

ქეთევან ჯაფარიძე-სარევიზიო კომისიის კოორდინატორი

სხდომის დაწყების დრო: 17:00

დღის წესრიგი:

1. 2013 წლის 6 თებერვალს, სარევიზიო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად შერჩეული აუდიტორული კომპანიის - „MN-აუდიტი"-ს წარმომადგენლ – იური პაპასქუას მოხსენების მოსმენა ასოციაციის აუდიტორულ შემოწმებასთან დაკავშირებით.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ 17:00 საათზე სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მიმართა სხდომაზე დამსწრე „MN-აუდიტი”-ს წარმომადგენლ – იური პაპასქუას წარმოედგინა მოხსენება ასოციაციის აუდიტორულ შემოწმებასთან დაკავშირებით ჩატარებული სამუშოს შესახებ, რომლის დაწყების თარიღად, სარევიზიო კომისიის მ/წ 6 თებერვლის გადაწყვეტილებით განსაზღვრული იყო 2013 წლის 11 თებერვალი.

ბ-ნ იური პაპასქუამ განაცხადა, რომ აღნიშნულ პერიოდში მისმა კომპანიამ თითქმის სრული მოცულობით შეისწავლა ყველა დოკუმენტაცია; ამ ეტაპზე მუშაობის პროცესი სრულდება და მალე ანალიზის ეტაპზე გადავა. უკვე შესწავლილი დოკუმენტების მიხედვით, გამოიკვეთა მცირე ხარვეზები და სავარაუდოდ, შენიშვნები შესაძლოა შეეხოს დოკუმენტაციის შედგენას. აუდიტორული შემოწმებისას იგი აქცენტს აკეთებს ასოციაციაში შემოსული და გახარჯული თანხის მიზნობრიობაზე, კერძოდ არის თუ არა გეგმით გათვალისწინებული თუ პროტოკოლურად გაფორმებული კონკრეტული თანხის გახარჯვა; ხარვეზებია ბუღალტრულ აღრიცხვასთან და გასავლის ორდერთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ ისეთი ორგანიზაციისთვის, როგორიც არის ადვოკატთა ასოციაცია, ნაღდი ფულის ბრუნვა არ არის მიზანშეწონილი; თუმცა დეტალური სახით იგი ამ ეტაპზე ვერ განიხილავს აღნიშნულ საკითხებს, რადგან მუშაობა არ არის დასრულებული. ასევე, მან განაცხადა, რომ ვინაიდან, შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა საკმაოდ დიდია და კომპანიის სურვილია, რომ მის მიერ განხორციელებული სამუშაო და შესაბამისი დასკვნა იყოს მაქსიმალურად მაღალი ხარისხის, ამ მიზნით დოკუმენტების შესწავლას და მონაცემების სრულყოფილად დამუშავებას შესაძლოა დასჭირდეს რამოდენიმე დღით მეტი, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული და მიმართა წევრებს, რომ თუ შესაძლებელი იქნებოდა, მიეცათ დამატებითი ვადა, დაახლოებით 20 აპრილამდე, ასოციაციის აუდიტორული შემოწმების დასრულებისთვის და საბოლოო დასკვნის წარმოსადგენად.

წევრებმა მოისმინეს აღნიშნული ინფორმაცია. აკაკი ჩარგეიშვილმა განაცხადა, რომ სარევიზიო კომისიისთვის მნიშვნელოვანია კომპანიის პოზიცია იმ თვალსაზრისით, იხარჯება თუ არა ასოციაციის ბიუჯეტი მიზანმიმართულად, განხორციელდა თუ არა დაგეგმილ ღონისძიებებთან ერთად ბიუჯეტის სწორი განკარგვა.

მარიამ კუბლაშვილმა განაცხადა, რომ სასურველია, რაც შეიძლება მალე იყოს მზად აუდიტორული შემოწმების ანგარიში, ვინაიდან, ეს ძალიან მნიშვნელოვანია ასოციაციისთვის და მიმართა ბ-ნ იური პაპასქუას, რომ აღნიშნული საკითხისთვის მიენიჭებინათ უპირატესობა.

წევრებმა განაცხადეს, რომ საბოლოო დასკვნის წარმოდგენამდე, სარევიზიო კომისიას სჭირდება აუდიტორული კომპანიის საპროექტო დასკვნა, რომელსაც გაეცნობიან და შეისწავლიან შენიშვნების თუ კორექტივების დამატების მიზნით და ამის შემდეგ, შესაძლო კორექტივების გათვალისწინებით კომპანიის მიერ

წარმოდგენილ დასკვნით ანგარიშს გადასცემენ აღმასრულებელ საბჭოს. აღმასრულებელი საბჭოდან მიღებული ინფორმაციის შემდეგ, სარევიზიო კომისია უკვე გასცემს შესაბამის რეკომედაციებს. წევრებმა ასევე განმარტეს, რომ საპროექტო დასკვნის მიწოდება უნდა მოხდეს შეზღუდულ ვადებში, რათა დროულად განხორციელდეს მისი გადახედვა და ასოციაციის აუდიტორული შემოწმების შესახებ კომპანიის მიერ მიწოდებული საბოლოო ანგარიში გაეგზავნოს აღმასრულებელ საბჭოს არა უგვიანეს 20 აპრილისა. წევრებმა განაცხადეს, რომ სასურველია, თუ ბ-ნი იური პაპასქუა გაეცნობოდა გასულ წლების ასოციაციის აუდიტორული შემოწმების ანგარიშს; ასევე, მას მიეწოდა 2010 წლის 9 ნოემბრის სარევიზიო კომისიის სხდომის ოქმი, სადაც დეტალურად არის მითითებული სარევიზიო კომისიის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები.

მსჯელობის შედეგად, სხდომაზე კენჭისყრის შედეგად (გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად) მიღებულ იქნა შემდეგი

დადგენილება:

1. სარევიზიო კომისია მიზანშეწონილად თვლის მიმდინარე წლის 10 აპრილამდე აუდიტორული კომპანიის - „MN-აუდიტი”-ს მიერ წარმოდგენილ იქნას საპროქტო დასკვნა, კომისიის მიერ მისი წინასწარი განხილვის და გაცნობის მიზნით; აუდიტორული კომპანიის - „MN-აუდიტი”-ს მიერ საბოლოო ანგარიში ასოციაციის აუდიტორული შემოწმების შესახებ წარმოდგენილ უნდა იქნას მიმდინარე წლის 20 აპრილამდე.

სხდომის თავმჯდომარე- მარიამ კუბლაშვილი

წევრი - აკაკი ჩარგეიშვილი

წევრი - ანა ხარაიშვილი

წევრი- ლევან ჩხეიძე